ოქმი №5

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სახდომისა, რომელიც ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 4 ივნისს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 13:55 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები – ი. ქარდავა, ი. ცხვიტავა, მ. გვიჩია, ზ. ყურაშვილი, კ. ტორჩინავა, მ. ნანეიშვილი, მ. ფირცხალავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ნ. ზარანდია; შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" დირექტორი - ლ. დგებუაძე; მ. სართანია - შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" ფინანსური მენეჯერი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა.

დღის წესრიგი:

1. შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" დირექტორი: ლ. დგებუაძე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინა: 1. . შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" დირექტორი: ლ. დგებუაძე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" 2023 წელს გაწეული საქმიანობა.

აზრი გამოთქვეს: მ. ფირცხალავამ, მ. გვიჩიამ, მ. ნანეიშვილმა, ი. ცხვიტავამ, ნ. ზარანდიამ, ლ. დგებუაძემ, ი. ქარდავამ.

კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა კომისიის წევრმა მ. ფირცხალავამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ **გადაწყვიტა:**

1. შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დადებითად.
2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის მოსმენისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თვმჯდომარე: ინგა ქარდავა